თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს სხდომის

ო ქ მ ი № 2

ქ. თელავი 20 მარტი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები''-ს
თავმჯდომარე - **გიორგი ჩაბრაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიგა მამუკელაშვილი,**
ფრაქციის წევრი: **გოჩა წაწალაშვილი ;**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავი მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ:
მომხს. გ. ჩაბრაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N33 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე" ცვლილების შეტანის შესახებ;
მომხს. გ. ჩაბრაშვილი

მოისმინეს: 1. თელავი მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ:

აზრი გამოთქვეს: გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ თელავი მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემოსავლების ნაწილი შესრულებულია 104.83%-ით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი - 88.8%;
კერძოდ: თავდაცვის დაფინანსების ხარჯვითი ნაწილი შესრულდა 59.7%, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 32.6%, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა 84.9% და ა.შ.

ჩნდება ლოგიკური კითხვები თუ რამ გამოიწვია 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზოგიერთ მიმართულებაში გეგმის შეუსრულებლობა;

გადაწყვიტეს: დაევალოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილეს გიგა მამუკელაშვილს რომელიც ამავდროულად არის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, რომ კომისიის უახლოეს სხდომაზე თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს დაუსვას შეკითხვები ყველა იმ საკითხზე რომელიც გაურკვეველი იყო ფრაქციის სხდომაზე და აცნობოს ფრაქციის წევრებს. კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხების მიღების შემთხვევაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეები" საკრებულოს სხდომაზე მხარს დაუჭერს დადებითად შეფასდეს თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება;

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N33 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე" ცვლილების შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ჩაბრაშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო მერიის მიერ ინიცირებული პროექტი რომელიც ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტისათვის ბიბერახის პარტნიორული კომიტეტის მიერ ჰუმანიტარული დახმარების წესით საკუთრებაში გადმოცემული ყავარჯნების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის გადასაცემ ქონების ჩამონათვალში დამატებას, რის გარეშეც თელავის მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს უფლება აღნიშნული ყავარჯნები გადაეცეს ასეთი საჭიროების მქონე ბენეფიციარებს;

გოჩა წაწალაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არიან ადამიანები რომლებსაც გადასაადგილებლად ესაჭიროებათ ყავარჯნები და თვითონ ვერ ახერხებენ ყიდვას, ამიტომ საჭიროა მუნიციპალიტეტი დაეხმაროს ასეთ ადამიანებს;

გადაწყვიტეს: საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია მხარს დაუჭერს მერიის მიერ ინიცირებულ პროექტს;

ფრაქციის თავმჯდომარე: გ. ჩაბრაშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: გ. მამუკელაშვილი

ფრაქციის წევრი: გ.წაწალაშვილი